



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### იპოდრომი



იპოდრომი

იპოდრომი (ბერძნ. hippodromos ი-ებს საბერძნეთსა და რომში უძველესი დროიდან აგებდნენ. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით, ძველ კოლხეთში, არესის ველზე, ვრცელი ი. იყო გადაშლილი, სადაც კოლხები გმირების მოსაგონებლად მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ. ი-ის შესახებ ცნობებს გვანვდიან პროკოფი კესარიელი და - იოანე შავთელი.

საქართვე. მრავალ სოფელში გამოყოფილი იყო საგანგებო საცხენოსნო ადგილები. შუა საუკუნეების თბილისის მთავარი ცხენოსნობის მდებარეობდა გარეთუბანში, მტკვრის - მარჯვ. სანაპიროზე. XIX ს. 40-იან წლებში გაიხსნა დიდუბის ი. აქ ასპარეზობდნენ ცნობილი ქართველი მხედრები: ა. ხაინდრავა, გ. ქიქავა, ა. სურმავა, კ. ყოჩიაშვილი და სხვ. 50-იან წლებში საცხენოსნო შეჯიბრებები ტარდებოდა ვაკის ველზე (ვაკის პარკისა და ლოკომოტივის სტადიონის ტერიტორია).

თბილისის ი. გაიხსნა 1959, მდებარეობდა საბურთალოს რ-ნის (დელისი) შუაგულში, ტყეპარკიანად ეკავა 50 ჰა ტერიტორია. ჰქონდა სანვრთნელი და სამეჯიბრო 4 წრე (1800, 1600, 1300, 1000 მ), შუა ნაწილს იყენებდნენ ცხენოსნობის ეროვნ. და კლასიკურ სახეობებში შეჯიბრებების ჩასატარებლად. იქვე მონყოფილი იყო „სტიპლ-ჩეიზის“ ტრასა. ჰქონდა ტრიბუნები 12000 მაყურებლისათვის, სამსაჯო ჯიხური, ღია და დახურული მანეჟი, 11 თავლა. ი-ის ტერიტორიაზე განლაგებული იყო საქართვე. სპორტკომიტეტის ცენტრ. საცხენოსნო ბაზა, საქართვე. განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საცხენოსნო სპორტ. სკოლა, სპორტ. საზ-ბა „დინამოს“ თანამედროვე

ხუთჯიდის ცხენოსნობის განყ-ბა. ი-ზე ცხენთგამოცდა (დოღები, რბოლა) ხდებოდა მაის-ივნისში, ტარდებოდა შეჯიბრებები ცხენოსნობის ეროვნ. და კლასიკურ სახეობებში, თანამედროვე ხუთჯიდში. ი-ზე მოქმედებდა ცხენების გამქირავებელი პუნქტი, გამაჯანსაღებელი ჯგუფები, ჰყავდათ თუშური ცხენები, რ-ებსაც საცხენოსნო ტურიზმშიც იყენებდნენ. ი-ზე და ბეთანიაში მუშაობდა საცხენოსნო ტურიზმის ბაზა ღამის გასათევად. ტერიტორიაზე განთავსებული იყო რესტორან „ისინდის“ შენობა (არქიტ. ი. კასრაძე).

2007 ი. გადაიტანეს ლისის ტბასთან, სადაც ფუნქციონირებს შპს „თბილისის იპოდრომი“.

---